ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4955774

ნომერი: AR1747903

თარიღი : 13.05.2020

გაცემის თარიღი : 19.05.2020

გაცნობის თარიღი : 19.05.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.#17-19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილი ხვედელიანი პ/ნ 01008016998
- არაყიშვილის ქ#14

ორგანიზაცია:

- შპს"ექსინპრო" კოდი: 202294338

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : სასაწყობე შენობა-ნაგებობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი AR1747903 განცხადებით მომართა, არჩილ ხვედელიანმა და მოითხოვა, ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.#17-19-ში მდებარე, უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობების ლეგალიზება.

მოგვიანებით განმცხადებელმა კვლავ მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და განაცხადა, რომ ითხოვს AR1747903 განცხადების განუხილველად დატოვებას ანუ მან რეალურად უარი განაცხადა AR1747903 განცხადებით დაყენებულ მოთხოვნაზე.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადების შინაარსისათვის აუცილებელია, რომ იგი სხვა დანარჩენ აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად, შეიცავდეს მოთხოვნას, რომელსაც არჩილ ხვედელიანის განცხადება აღარ შეიცავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიაჩნია, რომ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული არჩილ ხვედელიანის AR1747903 განცხადება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული არჩილ ხვედელიანის AR1747903 განცხადება.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.